ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 07 თებერვლის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 07 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 4

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 07 თებერვალი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ. ზუმბაძე - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე,

შ. ლურსმანაშვილი-ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

ნ. თხელიძე -საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტი

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" ჟურნალისტი,

მაია შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის #48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის #48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის**

თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რამდენ ლარს უხდიდნენ მონიტორინგის ჯგუფს მომსახურებისათვის.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ უხდიან 111 000 ლარს.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ჯგუფს ვუხდით 111 000 ლარს, მათ მიერ შემოწმებული უკვე შესრულებული პროექტების 80% არის უხარისხო, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან ,რომ გაგვეფორმებინა ხელშეკრულება უფრო იაფი დაგვიჯდებოდა და ხარისხის კონტროლიც იქნებოდა მისაღები.

ა.ა.ი.პ კულტურის ცენტრში ჩავატარეთ რეორგანიზაცია ვფიქრობდით თანხები დაიზოგებოდა, ნაცვლად ამისა ითხოვს თანხას მსახიობის ხელფასისთვის, თუ მსახიობი ჭირდებოდა გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა 2019 წლის ბიუჯეტის შედგენისას ,რა თქმა უნდა ამას ვერ დავეთანხმებით. ასევე მხარს არ დაუჭერ ავტომანქანის შესყიდვის საკითხს იმ ფონზე, როდესაც ამდენი სოციალურად დაუცველი გვყავს და ვერ ვეხმარებით. შემოვდივარ წინადადებით 43 ათასი ლარი მიიმართოს სოციალური დახმარების ღონისძიებებზე.

ვ. გელაშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აკეთებს კონსოლიდირებულ ბიუჯეტს სადაც მერებს მიეცათ მითითება 16 000 დოლარის ეკვივალენტი ლარი გამოყენებული იქნეს ავტომანქანების შესაძენად.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ სკოლებისათვის მცირე რემონტზე გამოყოფილი 200 000 ლარის განაწილებაზე, ჩვენ უნდა ვიცოდეთ მერის ხედვა, რომელ სკოლებზე იქნება განაწილებული, ფორმულა არის ერთი საჭიროების მიხედვით, ალბათ ხვალ კომისიის სხდომაზე მივიღებთ პასუხს. ამ საკითხებზე. პასუხი უნდა გასცეს მერიამ.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ავტომანქანასთან დაკავშირებით 43 000 ლარზე უნდა ინახოს დოკუმენტი იქნებ გონივრული გადაწყვეტილებაა, ორჯერ მივიღეთ ავტომანქანა, მე -3 -ჯერ გუბერნიამ გადმოგვცა, როდესაც მერის საქმიანობა ფასდება უარყოფითად, შეუსრულებელია პროექტები, 100 ლარს ვერ ვაძლევთ გაჭირვებულ მოქალაქეს რა მანქანის ყიდვაზეა ლაპარაკი. ა.ა.ი.პ -ბის რეორგანიზაციის შედეგად 200 000 ლარის გამოთავისუფლებას ველოდით და დღეს 5500 ლარს ითხოვენ მსახიობისთვის, სკოლების მცირე რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 200

000 ლარის ხარჯვასთან დაკავშირებით მონახაზი ხომ უნდა არსებობდეს, ვკითხულობ მე- 3 სკოლა მოხდება თუ არა ამ ჩამონათვალში არის ბევრი სხვა საკითხებზე კითხვები და კომისიის სხდომაზე დასასწრებად ვითხოვთ პასუხისმგებელ პირებს ვისაც შეუძლია კომპეტენტური პასუხის გაცემა. მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი რომელ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, სად წავიდა ბაზალეთში სტიქიისათვის გამოყოფილი თანხები, ტენდერი არ გამოცხადებულა სამუშაოებზე აქ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდეს.

ვ. გელაშვილმა სკოლების ტრანსპორტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მერთან მხოლოდ 1 მარტამდე პერიოდისათვის გაფორმდა ხელშეკრულება.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ მთავრობას აქვს ერთიანი ხედვა ავტომანქანის შეძენაზე, რომ პირობები გაიუმჯობესონ, მაგრამ ამდენი დაუსრულებელი პროექტები თავზე გვაწევს, მონიტორინგისათვის, რომ ამდენ თანხას ვხარჯავთ შედეგი არაფერი, უნდა მოვისმინოთ სკოლების 200 000 ლარი სად განაწილდება უნდა ვიცოდეთ. სარიტუალო სახლის მშენებლობა სოფელ მოლითში რამდენად მიზანშეწონილია, როდესაც სოფელ ანეულაში ძალიან ცოტა ხალხი დარჩა, სოფლის პროექტების თანხის გაორმაგება მოხდა თუ არა, დეკემბერში დავამტკიცეთ 2019 წლის ბიუჯეტი კულტურის აიპის წლის დასაწყისში შემოაქვს მოთხოვნა თანხაზე. მსახიობის ხელფასისათვის, არ უნდა შემოეტანა რადგან ეს უნდა გაეთვალისწინებინა 2019 წლის ბიუჯეტში , ამ შემთხვევაში თვითონ უნდა მოეძებნა შიდა რესურსიდან.

ვ. გელაშვილმა აღნიშნა, რომ მეც წინააღმდეგი ვიყავი სარიტუალო სახლის მშენებლობის, მაგრამ ეს არის ხალხის მოთხოვნა, სოფლის პროექტების თანხის გაორმაგება მოხდა და ველოდებით მთავრობის განკარგულებას.

ი. კელენჯერიძემ კულტურის ა.ა..ი.პ -ს მიერ მსახიობისათვის ხელფასის თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხი უნდა შევისწავლოთ იქნებ საჭიროა.

მ. ბარბაქაძემ დასვა შეკითხვა, რატომ მოხდა სოფლის პროექტებთან რკინიგზიდან ჩამორიცხული 60 000 ლარის მიწერა.

ვ. გელაშვილმა განმარტა, რომ ტექნიკურად განთავსდა ერთ კარში, მაგრამ მიეთითა წყარო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა საფინანსო - საბიუჯეტო და განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.
2. დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

3 დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს მიმდინარე წლის 08 თებერვალს ჩანიშნულ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მერის პირველი მოადგილის მოწვევასთან დაკავშირებით წერილის გადაგზავნა მერიაში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე